2018 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის მუზეუმისა და გალერეის დაფინანსება. ცაგერის ისტორიული მუზეუმი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ლადო ასათიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი, არჩილ-გელოვანის სახლ-მუზეუმი, სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმი, დიდების მუზეუმი და სურათების გალერეა. მუზეუმში დაცულია 10 000-მდე ექსპონატი დამხმარე მასალის ჩათვლით და ქვეყანაში არსებულ მუზეუმებს შორის თავისი სიძველეებითა და საინტერესო ექსპოზიციებით გამორჩეული ჩვ.წ.აღ.მდე შუა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის იარაღებითა და სამკაულებით. იგეგმება მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმის კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობაში. საგამოფენო ექსპონატების სისტემატიზაცია და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013-2014 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე და აღმოჩენილი იქნა ახალი არქეოლოგიური მასალები, ძვ.წ. viii-v სს-ის კერემიკა, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების კერემიკა, ლითონის ჭურჭელი და იარაღი, ამ ახალი ექსპონატებით გამდიდრდა ცაგერის ისტორიული მუზეუმი. 2018 წელსაც ცხეთა დეხვირის ტერიტორიაზე რომელიც უკვე ცაგერის ისტორიული მუზეუმის შემადგენლობაში შედის „მუზეუმი ღია ცისქვეშ“ სახით, იგეგმება სხვადასხვა შინაარსობრივი არქეოლოგიური ექსპედიციის დაფინანსება, რომელზეც დამოკიდებულია მუზეუმის კოლექციის შევსება, ხოლო ღია ცისქვეშ მუზეუმის ტერიტორიაზე ახალი არქეოლოგიური ძეგლების



გამოვლენა ზრდის ტურისტთა დაინტერესებას რეგიონისადმი.

### **3.2.3 მუსიკალური სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქ. ცაგერში ფუნქციონირებს 1 სამუსიკო სკოლა, სადაც კლასიკურ მუსიკალურ განათლებას იღებს 62 მოსწავლე. (გადასახადი თითოეულ მოსწავლეზე 10 ლარი, რომელიც ხმარდება მასწავლებელთა ხელფასის შევსებასა და კომუნალურ გადასახადებს);სკოლაში დასაქმებულია 10 პედაგოგი და 7 ტექ. პერსონალი.

### **1. სამხატვრო სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)**

პროგრამით გათვალისწინებულია ცაგერის სამხატვრო სკოლის დაფინანსება. სკოლის სხვადასხვა ჯგუფში განათლებას იღებს 45 მოსწავლე (გადასახადი თითოეულ მოსწავლეზე 3 ლარია). იგეგმება მოსწავლეთათვის სამხატვრო ინვენტარის შეძენა;სამხატვრო სკოლაში ისწავლება ფერწერა, გრაფიკა, კომპოზიცია,ძერწვა და გამოყენებითი ხელოვნება, რომელიც თავისთავად მოიცავს მაკრამეს ხელოვნებას, გობელენსა და ქსოვას. სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 17 მასწავლებელი.

### **1. ბიბლიოთეკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)**

მოსწავლე-ახალგაზრდობის საგანმანათლებლო და კულტურული ღონის ამღლების მიზნით 2018 წელს იგეგმება ბიბლიოთეკების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი მთავარი, ერთი საბავშვო, ერთი ახალგაზრდობის და სოფლის 39 ბიბლიოთეკა. მიმდინარეობს წიგნის ფონდის შევსება და დაკომპლექტება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 173359 ბეჭდურ ერთეულს, აქედან 41231 ცალი არის ქალაქის წიგნადი ფონდი, ხოლო 132128 ცალი სოფლების წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკას ჰყავს 68 სამტატო თანამშრომელი, აქედან 29 – ქალაქის, ხოლო 39 – სოფლის.

### **3.2.6. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება პროგრამული კოდი 05 02 06)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2018 წელს დაგეგმილი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა.

### **3.2.7 ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 07)**

მუნიციპალიტეტში გამოდის გაზეთი „ლეჩხუმი“, რომლის გამოცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს იღებს მუნიციპალიტეტი.ეს კუთხეში მიმდინარე მოვლენების ყოველთვიური გაშუქების ერთადერთი საშუალებაა, რომელიც ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

### **3.2.8.ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 09)**

ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ – ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი.

### **3.2.9 ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 11)**

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმის“ დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 70-მდე ბავშვს და მოზარდს, 2011 წელს ანსამბლს მიენიჭა სახალხო ანსამბლის საპატიო წოდება. ანსამბლი წარმატებით გამოდის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ფესტივალებში.

### **3.2.10 ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 14)**

ცაგერის მუნიციპალიტეტში სერიოზული პრობლემებია ახალგაზრდობის მიგრაციის კუთხით დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების, ახალგაზრდობის დასაქმების, ახალგაზრდა ოჯახების



ხელშეწყობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის მიზნით შექმნილი ახალგაზრდობის ცენტრი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე ცენტრი წარმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობას და ამ მხრივ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სათანადო ინფორმაციითა და რეკომენდაციებით შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

### **3.2.11 ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 15)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლების დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, დღევანდელი მოთხოვნათა შესაბამისად დღის წესრიგში დგება ძეგლების მოვლა-პატრონობის გაძლიერება და სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოების პროგრამის განხორციელება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმის მომავლისათვის.

### **3.3. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მუნიციპალიტეტში არსებული მოქმედი ეკლესია-მონასტრების ელექტროენერჯის ხარჯის დაფარვაში.

## **4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებითა და შეღავათების უზრუნველყოფას, უკიდურესად გაჭირვებული და მზრუნველობამოკლებული ბენეფიციარების ერთჯერადი კვებით მომსახურებას, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

### **4.1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები.

### **4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)**



პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

#### 4.2.1. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურებისა და კომუნალური ხარჯების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დადუპულ მებრძოლთა, მეორე მსოფლიო ომის და ავღანეთის ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება, სარიტუალო მომსახურების თანხა – 250 ლარი

#### 4.2.2. ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფა(პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამით გაგრძელდება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება. მუნიციპალიტეტში ასეთი 15 ადამიანია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად გაიწევა დახმარება 200ლარის ოდენობით.

#### 4.2.3. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად გაიწევა დახმარება იმ ოჯახებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას, დახმარების ოდენობას განსაზღვრავს კომისია. დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 300 ლარს თითოეულ ოჯახზე.
- ცაგერისმუნიციპალიტეტშიმუდმივადმცხოვრები, დიალიზზე დამოკიდებული პაციენტი ფინანსდება ყოველთვიურად და დახმარების მოცულობა განისაზღვრება თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით,
- სხვადასხვა სახის მძიმე ოპერაციების (ონკოლოგიური, ტრავმატოლოგიური, კარდიო-ქირურგიული, ნეიროქირურგიული, უროლოგიური, მუცლისღრუს) თანადაფინანსება, რომლებიც არფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (400 ლარზე მეტი) სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციართათვის, მათი მხრიდან გადასახდელი თანხის 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.
- სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია(300 ლარზე მეტი) პირის გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა,
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი სოციალურად დაუცველ ორსულთა სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფა დახმარება განისაზღვრება თვეში 100 ლარის პროდუქტით.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0- დან 18- წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური დახმარება შეადგენს 250 ლარს.
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემა ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა ხანდაზმულ მოქალაქეს, რომელთა ასაკი განისაზღვრება 90 წელს ზევით.

დახმარების თანხა განისაზღვრება 90 წლიდან-95 წლამდე 100 ლარის ოდენობით, 95-დან 100-წლამდე 200 ლარი, 100 წლიდან ზევით 300 ლარის ოდენობით.

#### 4.2.4 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი კვებით მომსახურება. (პროგრამული კოდი 06 02 05)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

2018 წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული 103 ბენეფიციარის ერთჯერადი კვებით მომსახურება ორშაბათი-პარასკევს ჩათვლით. აქედან, 78 ბენეფიციარის მომსახურება მოხდება ქ. ცაგერში და 25 ბენეფიციარის სოფ. ლაჯანაში. ბენეფიციარის მოთხოვნისამებრ ხდება როგორც ადგილზე მომსახურება, ასევე ბენეფიციარისათვის კონკრეტული ულუფის სახლში გატანება. აღნიშნული მომსახურების გაწევას ახორციელებს 3 მზარეული და 5 მომსახურე პერსონალი.

**5. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

**5.1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი 01 00)**

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს.

**5.2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი 02 00)**

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა-გაწვევის და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**თავი III**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 17. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 11881.2 ათასი ლარის ოდენობით:**

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი
	<b>სულ ჯამი</b>	<b>8176.99</b>	<b>5261.14</b>	<b>2915.85</b>	<b>11881.16</b>	<b>5662.69</b>	<b>6218.47</b>
	ხარჯები	4876.35	4855.69	20.67	5219.34	5196.07	23.27
	შრომის ანაზღაურება	1418.95	1418.95	0.00	1389.40	1389.40	0.00
	საქონელი და მომსახურება	713.17	701.63	11.53	668.82	668.82	0.00
	პროცენტი	0.00	0.00	0.00	52.50	52.50	0.00
	სუბსიდიები	2323.75	2315.50	8.25	2540.10	2540.10	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	281.23	281.23	0.00	352.78	352.78	0.00
	სხვა ხარჯები	139.25	138.37	0.88	215.74	192.47	23.27





	არაფინანსური აქტივების ზრდა	3294.56	399.38	2895.18	6661.82	466.62	6195.19
<b>01 00</b>	<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>	<b>1915.13</b>	<b>1900.48</b>	<b>14.65</b>	<b>2100.80</b>	<b>2077.53</b>	<b>23.27</b>
	ხარჯები	1871.80	1871.80	0.00	2072.70	2049.43	23.27
	შრომის ანაზღაურება	1362.55	1362.55	0.00	1328.30	1328.30	0.00
	საქონელი და მომსახურება	496.29	496.29	0.00	474.25	474.25	0.00
	პროცენტი	0.00	0.00	0.00	52.50	52.50	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	4.16	4.16	0.00	45.68	45.68	0.00
	სხვა ხარჯები	8.81	8.81	0.00	171.97	148.70	23.27
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37.25	22.60	14.65	28.10	28.10	0.00
<b>01 01</b>	<b>მუნიციპალიტეტის საკრებულო</b>	<b>590.56</b>	<b>590.56</b>	<b>0.00</b>	<b>629.30</b>	<b>629.30</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	590.48	590.48	0.00	624.30	624.30	0.00
	შრომის ანაზღაურება	439.04	439.04	0.00	482.30	482.30	0.00
	საქონელი და მომსახურება	149.18	149.18	0.00	85.92	85.92	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	0.00	0.00	0.00	0.68	0.68	0.00
	სხვა ხარჯები	2.26	2.26	0.00	55.40	55.40	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	5.00	5.00	0.00
<b>01 02</b>	<b>მუნიციპალიტეტის მერია</b>	<b>1324.57</b>	<b>1309.92</b>	<b>14.65</b>	<b>1361.63</b>	<b>1361.63</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	1281.32	1281.32	0.00	1338.53	1338.53	0.00
	შრომის ანაზღაურება	923.52	923.52	0.00	846.00	846.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	347.11	347.11	0.00	386.03	386.03	0.00
	პროცენტი	0.00	0.00	0.00	52.50	52.50	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	4.16	4.16	0.00	45.00	45.00	0.00
	სხვა ხარჯები	6.54	6.54	0.00	9.00	9.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37.25	22.60	14.65	23.10	23.10	0.00
<b>01 03</b>	<b>სარეზერვო ფონდი</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>2.30</b>	<b>2.30</b>	<b>0.00</b>





	ხარჯები	0.00	0.00	0.00	2.30	2.30	0.00
	საქონელი და მომსახურება	0.00	0.00	0.00	2.30	2.30	0.00
<b>01 05</b>	<b>წინა წელს გამოუყენებელი თანხის უკან დაბრუნება</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>107.57</b>	<b>84.30</b>	<b>23.27</b>
	ხარჯები	0.00	0.00	0.00	107.57	84.30	23.27
	სხვა ხარჯები	0.00	0.00	0.00	107.57	84.30	23.27
<b>02 00</b>	<b>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>	<b>64.19</b>	<b>64.19</b>	<b>0.00</b>	<b>70.40</b>	<b>70.40</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	64.19	64.19	0.00	70.40	70.40	0.00
	შრომის ანაზღაურება	56.40	56.40	0.00	61.10	61.10	0.00
	საქონელი და მომსახურება	7.79	7.79	0.00	9.30	9.30	0.00
<b>02 02</b>	<b>ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების ხელშეწყობა</b>	<b>64.19</b>	<b>64.19</b>	<b>0.00</b>	<b>70.40</b>	<b>70.40</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	64.19	64.19	0.00	70.40	70.40	0.00
	შრომის ანაზღაურება	56.40	56.40	0.00	61.10	61.10	0.00
	საქონელი და მომსახურება	7.79	7.79	0.00	9.30	9.30	0.00
<b>03 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>4019.48</b>	<b>1118.29</b>	<b>2901.20</b>	<b>7390.82</b>	<b>1195.62</b>	<b>6195.19</b>
	ხარჯები	766.63	745.96	20.67	759.80	759.80	0.00
	საქონელი და მომსახურება	173.49	161.96	11.53	139.70	139.70	0.00
	სუბსიდიები	516.39	508.14	8.25	620.10	620.10	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3252.86	372.33	2880.53	6631.02	435.82	6195.19
<b>03 01</b>	<b>საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)</b>	<b>2109.71</b>	<b>14.84</b>	<b>2094.88</b>	<b>4174.41</b>	<b>67.92</b>	<b>4106.48</b>
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2109.71	14.84	2094.88	4174.41	67.92	4106.48
<b>03 03</b>	<b>კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>1662.89</b>	<b>962.67</b>	<b>700.22</b>	<b>3006.88</b>	<b>940.50</b>	<b>2066.38</b>



	ხარჯები	729.82	713.98	15.85	715.80	715.80	0.00
	საქონელი და მომსახურება	168.67	161.96	6.71	139.70	139.70	0.00
	სუბსიდიები	484.41	476.16	8.25	576.10	576.10	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	933.07	248.70	684.37	2291.08	224.70	2066.38
<b>03 03 02</b>	<b>გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>119.11</b>	<b>119.11</b>	<b>0.00</b>	<b>110.00</b>	<b>110.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	119.11	119.11	0.00	110.00	110.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	119.11	119.11	0.00	110.00	110.00	0.00
<b>03 03 04</b>	<b>წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>72.82</b>	<b>16.58</b>	<b>56.25</b>	<b>18.00</b>	<b>18.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	12.42	12.42	0.00	13.00	13.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	12.42	12.42	0.00	13.00	13.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	60.40	4.16	56.25	5.00	5.00	0.00
<b>03 03 05</b>	<b>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერებისა და ფასადების მოწყობა)</b>	<b>773.37</b>	<b>234.31</b>	<b>539.06</b>	<b>1843.12</b>	<b>74.40</b>	<b>1768.72</b>
	ხარჯები	59.00	59.00	0.00	1.70	1.70	0.00
	საქონელი და მომსახურება	18.01	18.01	0.00	1.70	1.70	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	714.37	175.31	539.06	1841.42	72.70	1768.72
<b>03 03 06</b>	<b>ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები</b>	<b>124.80</b>	<b>77.19</b>	<b>47.62</b>	<b>257.66</b>	<b>150.00</b>	<b>107.66</b>
	ხარჯები	8.83	7.95	0.88	5.00	5.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	7.95	7.95	0.00	5.00	5.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	115.97	69.24	46.73	252.66	145.00	107.66
<b>03 03 07</b>	<b>საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებები</b>	<b>11.18</b>	<b>4.47</b>	<b>6.71</b>	<b>200.00</b>	<b>10.00</b>	<b>190.00</b>
	ხარჯები	11.18	4.47	6.71	10.00	10.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	11.18	4.47	6.71	10.00	10.00	0.00



	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	190.00	0.00	190.00
<b>03 03 10</b>	<b>აიპ კომუნალური მომსახურება</b>	<b>341.71</b>	<b>333.46</b>	<b>8.25</b>	<b>388.00</b>	<b>388.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	341.71	333.46	8.25	386.00	386.00	0.00
	სუბსიდიები	341.71	333.46	8.25	386.00	386.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	2.00	2.00	0.00
	სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
<b>03 03 15</b>	<b>ა(ა)იპ – ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი</b>	<b>138.94</b>	<b>138.94</b>	<b>0.00</b>	<b>190.10</b>	<b>190.10</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	138.94	138.94	0.00	190.10	190.10	0.00
	სუბსიდიები	138.94	138.94	0.00	190.10	190.10	0.00
<b>03 07</b>	<b>მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება</b>	<b>31.03</b>	<b>31.03</b>	<b>0.00</b>	<b>44.00</b>	<b>44.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	31.03	31.03	0.00	44.00	44.00	0.00
	სუბსიდიები	31.03	31.03	0.00	44.00	44.00	0.00
<b>03 08</b>	<b>დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება</b>	<b>97.35</b>	<b>74.49</b>	<b>22.86</b>	<b>165.53</b>	<b>143.20</b>	<b>22.33</b>
	არაფინანსური აქტივების ზრდა	97.35	74.49	22.86	165.53	143.20	22.33
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>631.63</b>	<b>631.63</b>	<b>0.00</b>	<b>644.90</b>	<b>644.90</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	629.38	629.38	0.00	644.90	644.90	0.00
	სუბსიდიები	628.41	628.41	0.00	644.90	644.90	0.00
<b>04 01</b>	<b>სკოლამდელი განათლების დაფინანსება</b>	<b>575.07</b>	<b>575.07</b>	<b>0.00</b>	<b>589.50</b>	<b>589.50</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	572.82	572.82	0.00	589.50	589.50	0.00
	სუბსიდიები	571.85	571.85	0.00	589.50	589.50	0.00
<b>04 02</b>	<b>მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი</b>	<b>55.31</b>	<b>55.31</b>	<b>0.00</b>	<b>55.40</b>	<b>55.40</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	55.31	55.31	0.00	55.40	55.40	0.00



	სუბსიდიები	55.31	55.31	0.00	55.40	55.40	0.00
<b>05 00</b>	<b>კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები</b>	<b>1149.72</b>	<b>1149.72</b>	<b>0.00</b>	<b>1257.40</b>	<b>1257.40</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	1148.92	1148.92	0.00	1254.70	1254.70	0.00
	საქონელი და მომსახურება	28.80	28.80	0.00	40.17	40.17	0.00
	სუბსიდიები	1090.74	1090.74	0.00	1185.80	1185.80	0.00
	სხვა ხარჯები	29.39	29.39	0.00	28.73	28.73	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.80	0.80	0.00	2.70	2.70	0.00
<b>05 01</b>	<b>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>303.56</b>	<b>303.56</b>	<b>0.00</b>	<b>331.00</b>	<b>331.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	302.76	302.76	0.00	329.20	329.20	0.00
	სუბსიდიები	302.76	302.76	0.00	329.20	329.20	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.80	0.80	0.00	1.80	1.80	0.00
<b>05 01 01</b>	<b>ა(ა)იპ – ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა</b>	<b>148.11</b>	<b>148.11</b>	<b>0.00</b>	<b>161.00</b>	<b>161.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	148.11	148.11	0.00	159.20	159.20	0.00
	სუბსიდიები	148.11	148.11	0.00	159.20	159.20	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	1.80	1.80	0.00
<b>05 01 02</b>	<b>ა(ა)იპ – საფეხბურთო კლუბი ხვამლი</b>	<b>86.57</b>	<b>86.57</b>	<b>0.00</b>	<b>85.00</b>	<b>85.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	85.77	85.77	0.00	85.00	85.00	0.00
	სუბსიდიები	85.77	85.77	0.00	85.00	85.00	0.00
<b>05 01 03</b>	<b>ა(ა)იპ – ფრენბურთის კლუბი "ცაგერი"</b>	<b>67.93</b>	<b>67.93</b>	<b>0.00</b>	<b>85.00</b>	<b>85.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	67.93	67.93	0.00	85.00	85.00	0.00
	სუბსიდიები	67.93	67.93	0.00	85.00	85.00	0.00
<b>05 02</b>	<b>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>829.61</b>	<b>829.61</b>	<b>0.00</b>	<b>909.00</b>	<b>909.00</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	829.61	829.61	0.00	908.10	908.10	0.00
	საქონელი და მომსახურება	28.80	28.80	0.00	40.17	40.17	0.00



	სუბსიდიები	782.88	782.88	0.00	851.20	851.20	0.00
	სხვა ხარჯები	17.94	17.94	0.00	16.73	16.73	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.90	0.90	0.00
<b>05 02 01</b>	<b>ა(ა)იპ – ცაგერის კულტურის ცენტრი</b>	<b>240.16</b>	<b>240.16</b>	<b>0.00</b>	<b>249.50</b>	<b>249.50</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	240.16	240.16	0.00	248.60	248.60	0.00
	სუბსიდიები	240.16	240.16	0.00	248.60	248.60	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.90	0.90	0.00
<b>05 02 02</b>	<b>ა(ა)იპ – ცაგერის ისტორიული მუზეუმი</b>	<b>143.40</b>	<b>143.40</b>	<b>0.00</b>	<b>143.50</b>	<b>143.50</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	143.40	143.40	0.00	143.50	143.50	0.00
	სუბსიდიები	143.40	143.40	0.00	143.50	143.50	0.00
<b>05 02 03</b>	<b>მუსიკალური სკოლის დაფინანსება</b>	<b>57.00</b>	<b>57.00</b>	<b>0.00</b>	<b>54.20</b>	<b>54.20</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	57.00	57.00	0.00	54.20	54.20	0.00
	სუბსიდიები	57.00	57.00	0.00	54.20	54.20	0.00
<b>05 02 04</b>	<b>ცაგერის სამხატვრო სკოლის დაფინანსება</b>	<b>45.55</b>	<b>45.55</b>	<b>0.00</b>	<b>49.50</b>	<b>49.50</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	45.55	45.55	0.00	49.50	49.50	0.00
	სუბსიდიები	45.55	45.55	0.00	49.50	49.50	0.00
<b>05 02 05</b>	<b>ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის დაფინანსება</b>	<b>136.49</b>	<b>136.49</b>	<b>0.00</b>	<b>142.80</b>	<b>142.80</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	136.49	136.49	0.00	142.80	142.80	0.00
	სუბსიდიები	136.49	136.49	0.00	142.80	142.80	0.00
<b>05 02 06</b>	<b>კულტურული ღონისძიებების დაფინანსება</b>	<b>40.66</b>	<b>40.66</b>	<b>0.00</b>	<b>48.90</b>	<b>48.90</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	40.66	40.66	0.00	48.90	48.90	0.00
	საქონელი და მომსახურება	21.48	21.48	0.00	31.17	31.17	0.00
	სუბსიდიები	1.25	1.25	0.00	1.00	1.00	0.00
	სხვა ხარჯები	17.94	17.94	0.00	16.73	16.73	0.00
	ტიკლირადიო მაუწყებლობა						



05 02 07	და საგამომცემლო საქმიანობა	7.32	7.32	0.00	9.00	9.00	0.00
	ხარჯები	7.32	7.32	0.00	9.00	9.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	7.32	7.32	0.00	9.00	9.00	0.00
05 02 09	ა(ა)იპ – ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი	25.50	25.50	0.00	25.00	25.00	0.00
	ხარჯები	25.50	25.50	0.00	25.00	25.00	0.00
	სუბსიდიები	25.50	25.50	0.00	25.00	25.00	0.00
05 02 11	ა(ა)იპ – ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი	21.18	21.18	0.00	49.20	49.20	0.00
	ხარჯები	21.18	21.18	0.00	49.20	49.20	0.00
	სუბსიდიები	21.18	21.18	0.00	49.20	49.20	0.00
05 02 14	ა(ა)იპ – ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი	59.89	59.89	0.00	72.60	72.60	0.00
	ხარჯები	59.89	59.89	0.00	72.60	72.60	0.00
	სუბსიდიები	59.89	59.89	0.00	72.60	72.60	0.00
05 02 15	ა(ა)იპ – ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	47.37	47.37	0.00	64.80	64.80	0.00
	ხარჯები	47.37	47.37	0.00	64.80	64.80	0.00
	სუბსიდიები	47.37	47.37	0.00	64.80	64.80	0.00
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	16.55	16.55	0.00	17.40	17.40	0.00
	ხარჯები	16.55	16.55	0.00	17.40	17.40	0.00
	სუბსიდიები	5.10	5.10	0.00	5.40	5.40	0.00
	სხვა ხარჯები	11.45	11.45	0.00	12.00	12.00	0.00
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	396.83	396.83	0.00	416.84	416.84	0.00
	ხარჯები	395.43	395.43	0.00	416.84	416.84	0.00
	საქონელი და მომსახურება	6.80	6.80	0.00	5.40	5.40	0.00



	სუბსიდიები	88.21	88.21	0.00	89.30	89.30	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	276.10	276.10	0.00	307.10	307.10	0.00
	სხვა ხარჯები	24.32	24.32	0.00	15.04	15.04	0.00
<b>06 01</b>	<b>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</b>	<b>88.21</b>	<b>88.21</b>	<b>0.00</b>	<b>89.30</b>	<b>89.30</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	88.21	88.21	0.00	89.30	89.30	0.00
	სუბსიდიები	88.21	88.21	0.00	89.30	89.30	0.00
<b>06 02</b>	<b>მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>308.62</b>	<b>308.62</b>	<b>0.00</b>	<b>327.54</b>	<b>327.54</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	307.22	307.22	0.00	327.54	327.54	0.00
	საქონელი და მომსახურება	6.80	6.80	0.00	5.40	5.40	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	276.10	276.10	0.00	307.10	307.10	0.00
	სხვა ხარჯები	24.32	24.32	0.00	15.04	15.04	0.00
<b>06 02 02</b>	<b>ვეტერანთა სარიტუალო მომსახურებისა და კომუნალური ხარჯების დაფინანსება</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.50</b>	<b>0.50</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	0.00	0.00	0.00	0.50	0.50	0.00
	სხვა ხარჯები	0.00	0.00	0.00	0.50	0.50	0.00
<b>06 02 03</b>	<b>ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება)</b>	<b>0.80</b>	<b>0.80</b>	<b>0.00</b>	<b>2.50</b>	<b>2.50</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	0.80	0.80	0.00	2.50	2.50	0.00
	სხვა ხარჯები	0.80	0.80	0.00	2.50	2.50	0.00
<b>06 02 04</b>	<b>ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა</b>	<b>224.30</b>	<b>224.30</b>	<b>0.00</b>	<b>222.54</b>	<b>222.54</b>	<b>0.00</b>
	ხარჯები	224.30	224.30	0.00	222.54	222.54	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	200.78	200.78	0.00	210.50	210.50	0.00
	სხვა ხარჯები	23.52	23.52	0.00	12.04	12.04	0.00
<b>06 02 05</b>	<b>სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები)</b>	<b>83.52</b>	<b>83.52</b>	<b>0.00</b>	<b>102.00</b>	<b>102.00</b>	<b>0.00</b>



	ხარჯები	82.12	82.12	0.00	102.00	102.00	0.00
	საქონელი და მომსახურება	6.80	6.80	0.00	5.40	5.40	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	75.32	75.32	0.00	96.60	96.60	0.00

**თავი IV**  
**მარეგულირებელი ნორმები**

**მუხლი 18**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 19**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

**მუხლი 20**

2018 წლის განმავლობაში ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე პრემიები და დანამატები გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 21**

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 22**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 23**

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

**მუხლი 24**

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 0104-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2018 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.





### **მუხლი 25**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

### **მუხლი 26**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 158 ათასი ლარი მიიმართოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის და სხვა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებლად.

### **მუხლი 27**

2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 60,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

